საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1423 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს, დიდგორის ბრძოლის 895-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკონცერტო ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო მომსახურების შესყიდვა, 83 000 (ოთხმოცდასამი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი